ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე

ისტორია

ტ ე ს ტ ე ბ ი
ეროვნული გამოცდისათვის

დიზაინი

ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე

ისტორია
ტესტები ეროვნული გამოცდისათვის

რედაქტორი სოლომონ ნოზაძე, ლალი ბაქრაძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-790-9
www. diogene. ge

სარჩევი

ტესტი № 1
დავალებები № 1-15 7
დავალებები № 16-18 10
დავალებები № 19 11
დავალებები № 20 13
დავალებები № 21 14
დავალებები № 22 15
დავალებები № 25 16
ტესტი № 2
დავალებები № 1-15 18
დავალებები №1 6-18 21
დავალებები № 19 22
დავალებები № 20 24
დავალებები № 21 25
დავალებები № 22 26
დავალებები № 25 27
ტესტი № 3
დავალებები № 1-15 30
დავალებები № 16-18 34
დავალებები № 19 35
დავალებები № 20 37
დავალებები № 21 38
დავალებები № 22 40
დავალებები № 25 41
ტესტი № 4
დავალებები № 1-15 44
დავალებები № 16-18 48
დავალებები № 19 49
დავალებები № 20 51
დავალებები № 21 52
დავალებები № 22 54
დავალებები № 25 55
ტესტი № 5
დავალებები № 1-15 58
დავალებები № 16-18 62
დავალებები № 19 63
დავალებები № 20 65
დავალებები № 21 66
დავალებები № 22 68
დავალებები № 25 69
პასუხები
ტესტი № 1 73
ტესტი № 2 76
ტესტი № 3 79
ტესტი № 4 82
ტესტი № 5 85

ძვირფასო მეგობრებო!

2013 და 2016 წლებში გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოსცა ტესტების ორი კრებული ისტორიის ეროვნული გამოცდისთვის, რომელიც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებული ისტორიის საგამოცდო პროგრამის მიხედვით იყო შედეგენილი. წინამდებარე ახალი გამოცემა 2023 წლის ისტორიის ეროვნული გამოცდის ფორმატის ანალოგიურია.

კრებული შეიცავს ხუთ ტესტს. თითოეული ტესტი შვიდი სხვადასხვა დავალებისგან შედგება.

დავალების პირველი ტიპი – კითხვები პასუხების მრავლობითი არჩევნით – 15 თითოქულიან კითხვას შეიცავს და, შესაბამისად, 15-ქულიანია. დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი.

მეორე დავალებაა ქრონოლოგიის განსაზღვრა. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალი (ისტორიული პიროვნების ან მოვლენების) და ფასდება 3 ქულით.

მესამე დავალება, რომელიც 6-ქულიანია, ითვალისწინებს ვიზუალური წყაროების (პლაკატების, კარიკატურების, მარკების, სქემების, მონეტების) და წერილობითი ინფორმაციის შედარება-ანალიზს.

დავალების მეოთხე ტიპია ვიზუალური წყაროების (ფოტოების, პლაკატების, კარიკატურების) ანალიზი, რომელიც 5 ქულით ფასდება.

მეხუთე დავალება 8-ქულიანია და რუკის ანალიზს წარმოადგენს.

მეექვსე ტიპის დავალება ახალი ტიპის დავალებაა (6 ქულა). აქ აბიტურიენტმა კონკრეტული მოვლენის მიზეზებსა და შედეგებზე უნდა იმსჯელოს, უნდა გაანალიზოს უშუალო მონაწილეების გარდა, კიდევ ვისთვის იქნებოდა სასარგებლო ანდა პირიქით, საზიანო. ასევე, ისტორიიდან მოიყვანოს ამ მოვლენის მსგავსი ორი მოვლენა.

დავალების ბოლო (17-ქულიანი) ტიპია წერილობითი წყაროს ანალიზი, რომელიც მოითხოვს თანდართულ კითხვებზე პასუხის გაცემას.

ტესტების მაქსიმალური ქულათა მარაგი, ეროვნული გამოცდის ტესტის მსგავსად, 60 ქულას შეადგენს. ჯრებულის ბოლოს მოცემულია ზუსტი და სავარაუდო პასუხები. კრებული დაეხმარება XII კლასის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაში.

ტესტი № 1

დავალებები № 1–15

ინსტრუქცია დავალებებისათვის

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა შეუძლებელია. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

კითხვები:

1. რომელ პერიოდში იყო გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურა?

ა. ენეოლითში;
ბ. ადრებრინჯაოს ხანაში;
გ. შუაბრინჯაოს ხანაში;
დ. გვიანბრინჯაოს ხანაში.

2. ასურეთის რომელი მეფის სახელს უკავშირდება დაიენის მეფე სიენის ტყვედ ჩავარდნა?

ა. ტიგლათფილესერ I-ის;
ბ. ტიგლათფილესერ II-ის;
გ. ტიგლათფილესერ III-ის;
დ. ასურბანიფალის.

3. რომელი ქალაქი არ არის ფინიკიური?

ა. ტვიროსი;
ბ. ბიბლოსი;
გ. ურუქი;
დ. უგარითი.

4. რატომ ჰქონდა აზო-ფარნავაზის დაპირისპირებას საერთაშორისო ხასიათი?

ა. ფარნავაზის მოკავშირე იყო ქუჯი, ხოლო აზოსი – ბერძნები;

ბ. ფარნავაზის მოკავშირე იყო ალექსანდრე მაკედონელი, ხოლო აზოსი – ბერძნები;

გ. ფარნავაზის მოკავშირე იყო სელევკიდური სირია, ხოლო აზოსი – ბერძნები;

დ. ფარნავაზის მოკავშირე იყო რომი, ხოლო აზოსი – ბერძნები.

5. ბერძნულ კოლონიზაციასთან მიმართებით რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. ბერძნული კოლონიზაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო საბერძნეთში მოსახლეობის ზრდა;

ბ. ბერძნული კოლონიზაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო პოლისებს შორის ომები;

გ. ბერძნული კოლონიზაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო ფინიკიური კოლონიების დაპყრობის სურვილი;

დ. ბერძნული კოლონიზაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო საბერძნეთში რესურსების ნაკლებობა.

6. არაბულ დაპყრობებთან მიმართებით რომელი ფაქტია მართებული?

ა. VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს მთელი სასანური ირანი;

ბ. VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს მთელი საქართველო;

გ. VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს მთელი ესპანეთი;

დ. VII საუკუნეში არაბებმა დაიპყრეს მთელი ბიზანტია.

7. VIII საუკუნის საქართველოს ისტორიასთან მიმართებით რომელი ინფორმაციაა მართებული?

ა. VIII საუკუნის ბოლოს შეიქმნა ქართლის სამეფო;

ბ. VIII საუკუნის ბოლოს შეიქმნა ეგრისის სამეფო;

გ. VIII საუკუნის ბოლოს შეიქმნა კახეთის სამეფო;

დ. VIII საუკუნის ბოლოს შეიქმნა იმერეთის სამეფო.

8. XI-XII საუკუნეების ისტორიასთან მიმართებით რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. ყივჩაღების ჩამოსახლებამ ხელი შეუწყო მუდმივი ცხენოსანი ჯარის შექმნას;

ბ. რუის-ურბნისის კრების შემდეგ გაძლიერდა სახელმწიფოს გავლენა ეკლესიაზე;

გ. I-მა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ხელი შეუწყო საქართველოს გაძლიერებას;

დ. I-მა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ხელი შეუწყო მართლმადიდებლური ეკლესიის გაძლიერებას.

9. ნაპოლეონ I-ის ლაშქრობებთან მიმართებით რომელი მსჯელობაა მართებული:

ა. ნაპოლეონის გამარჯვებამ ტრაფალგარის ბრძოლაში ხელი შეუწყო საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონებას;

ბ. ნაპოლეონის ევროპაში ლაშქრობებმა ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში თანასწორობის იდეების გავრცელებას;

გ. ნაპოლეონის მიერ რუსეთში ლაშქრობამ ხელი შეუწყო ამ ქვეყანაში ბატონყმობის შესუსტებას;

დ. ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობამ ხელი შეუწყო ამ პერიოდში ირანისა და ოსმალეთის წარმატებას რუსეთთან დაპირისპირების დროს.

10. 1832 წლის შეთქმულებასთან მიმართებით რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. 1832 წლის შეთქმულების მთავარი იდეა იყო საქართველოში ბაგრატიონთა აბსოლუტური ძალაუფლების აღდგენა;

ბ. 1832 წლის შეთქმულების მთავარი იდეა იყო საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის დამყარება;

გ. 1832 წლის შეთქმულების მთავარი იდეა იყო საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარება;

დ. 1832 წლის შეთქმულების მთავარი იდეა იყო რუსეთის იმპერიაში ავტონომიის მიღება.

11. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობასთან მიმართებით რომელი ინფორმაციაა მართებული?

ა. ილია ჭავჭავაძემ დაარსა გაზეთი „კვალი“;

ბ. ილია ჭავჭავაძემ დაარსა გაზეთი „ივერია“;

გ. ილია ჭავჭავაძემ დაარსა გაზეთი „დროება“;

დ. ილია ჭავჭავაძემ დაარსა გაზეთი „ცისკარი“.

12. 1882 წელს შექმნილ „სამთა კავშირთან“ მიმართებით რომელი ინფორმაციაა მართებული?

ა. „სამთა კავშირის“ წევრი იყო იტალია;

ბ. „სამთა კავშირის“ წევრი იყო გერმანია;

გ. „სამთა კავშირის“ წევრი იყო ავსტრია-უნგრეთი;

დ. „სამთა კავშირის“ წევრი იყო საფრანგეთი.

13. რომელი ინფორმაცია უკავშირდება „მიუნხენის შეთანხმებას“?

ა. მიუნხენის შეთანხმებაში მონაწილეობდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია;

ბ. მიუნხენის შეთანხმებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია;

გ. მიუნხენის შეთანხმებაში მონაწილეობდნენ იტალია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია;

დ. მიუნხენის შეთანხმებაში მონაწილეობდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია და გერმანია არასწორი ფორმულირებებია და ამით შეიცვალოს.

14. რომელი მსჯელობა უკავშირდება ნატოს შექმნას?

ა. ნატო შეიქმნა საბჭოთა კავშირისგან მომდინარე საფრთხის გასანეიტრალებლად;

ბ. ნატო შეიქმნა ნაცისტური გერმანიისგან მომდინარე საფრთხის გასანეიტრალებლად;

გ. ნატო შეიქმნა ფაშისტური იტალიისგან მომდინარე საფრთხის გასანეიტრალებლად;

დ. ნატო შეიქმნა ფრანკოს ესპანეთისგან მომდინარე საფრთხის გასანეიტრალებლად.

15. საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი იყო საფინანსო სისტემის კრახი;

ბ. საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი იყო გამალებული შეიარაღების პოლიტიკა;

გ. საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი იყო „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პოლიტიკა;

დ. საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მიზეზი 15-ვე საბჭოთა რესპუბლიკაში დისიდენტური მოძრაობის აღმავლობა იყო

დავალებები № 16–18

ინსტრუქცია დავალებებისათვის

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების რიგითობის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომელიც აღნიშნავს ყველაზე ადრე მომხდარ მოვლენას და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე, უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომელიც აღნიშნავს ყველაზე გვიან მომხდარ მოვლენას. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

კითხვები:

16. დაალაგეთ ქრისტიანობის ისტორიასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები ქრონოლოგიური პრინციპით – ძველიდან ახლისკენ.

ა. ხატმებრძოლეობა;
ბ. არიანელობის მწვალებლობად გამოცხადება;
გ. დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის დაპირისპირება.

17. დაალაგეთ ქართული ნაწარმოებები და ისტორიული თხზულებები ქრონოლოგიური პრინციპით – ძველიდან ახლისკენ.

ა. ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“;
ბ. „ვეფხისტყაოსანი“;
გ. „დედა-ენა“.

18. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ისტორიული მოვლენები – ძველიდან ახლისკენ.

ა. მანასკერტის ბრძოლაში თურქ-სელჩუკების გამარჯვება;
ბ. პუატიეს ბრძოლაში ფრანკების გამარჯვება;
გ. ანკარის (ანგორის) ბრძოლაში ოსმალების დამარცხება.

დავალებები № 19

ინსტრუქცია დავალებებისათვის

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროთი გადმოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალება ფასდება მაქსიმალური 6 ქულით.

სქემა და ტექსტი ანუ ორი სხვადასხვა ტიპის წყაროს შეჯერება (6 ქულა)



ნაწყვეტები ჰეროდოტეს „ისტორიიდან“

„ათენელ მხედართმთავართა აზრი გაიყო: ერთ ნაწილს ბრძოლა არ სურდა („მცირერიცხოვანნი ვართ ბარბაროსთა ლაშქართან შესაბრძოლებლადო“), მეორე ნაწილი კი ბრძოლის მომხრე იყო და მათ შორის იყო მილტიადესიც... საბოლოოდ, გადაწყდა შებრძოლებოდნენ. ამის შემდეგ ის მხედართმთავრები, რომლებიც შებრძოლების მომხრე იყვნენ, თავიანთ წილხვდომილ წინამძღოლობას მილტიადესს გადასცემდნენ ხოლმე; ისიც ღებულობდა მათგან ამას... ათენელები ამგვარად იყვნენ საბრძოლოდ მოწყობილი: მარჯვენა ფრთას წინამძღოლობდა კალიმაქოს პოლემარქოსი, მარცხენა ფრთა კი პლატეელებს ეჭირათ. სწორედ ამ ბრძოლის მერე დაწესდა, რომ მსხვერპლშეწირვის დროს, საყოველთაო დღესასწაულზე (რაც ყოველ მეხუთე წელს იმართება), ათენელთა მაცნე ლოცულობს და ამბობს, სიკეთე ათენელებთან ერთად პლატეელებსაც მიენიჭოსო.

როგორც კი მოეწყვნენ, ათენელები დაიძრნენ და სირბილით მიაშურეს ბარბაროსებს... ყველანი ერთად ეკვეთნენ ბარბაროსებს და მართლაც რომ ღირსეულად იბრძოდნენ... ბრძოლამ დიდხანს გასტანა. ბანაკის შუაგულში ბარბაროსებმა გაიმარჯვეს. აქ რომ გაიმარჯვეს ბარბაროსებმა, გაარღვიეს მოწინააღმდეგის რიგები და მათ შიგნით, ხმელეთისკენ მისდიეს, ორივე ფრთაზე კი ათენელებმა გაიმარჯვეს და პლატეელმა გამარჯვებულებმა ბარბაროსთა ნაწილი გააქციეს, თვითონ კი ორივე ფრთა შეაერთეს და ბანაკის შუაგულის გამრღვევთ შეებრძოლნენ. ასე რომ, ბრძოლაში ათენელებმა გაიმარჯვეს.

კითხვები:

(1) 19.1. რომელ დასახლებულ პუნქტთან გაიმართა ბრძოლა?

_____

(1) 19.2. ვინ იყო ათენელთა ჯარის წინამძღოლი?

_____

(1) 19.3. ვინ იყვნენ ათენელთა წინააღმდეგ მებრძოლი ბარბაროსები?

_____

(2) 19.4. ვინ იყვნენ ათენელების მოკავშირეები და რა პრივილეგია მიენიჭა მათ?

_____

(1) 19.5. რა სამხედრო ტაქტიკა გამოიყენეს ბერძნებმა?

_____

დავალებები № 20

ინსტრუქცია დავალებებისათვის

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალება ფასდება მაქსიმალური 5 ქულით.

კითხვები:

(1) 20. 1. რა ტიპის ბეჭდური პროდუქციაა ასახული ილუსტრაციაზე?

_____

(2) 20. 2. რომელი სახელწიფოს მეთაურია გამოსახული ამ ილუსტრაციაზე და რა ისტორიული ფაქტია ასახული მასზე?

_____

(2) 20.3. გაიხსენეთ, რომელი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა მიმდინარეობდა ამ პერიოდში და რით დაიწყო იგი?

_____

დავალებები № 21

ინსტრუქცია დავალებებისათვის

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალება ფასდება მაქსიმალური 8 ქულით.



კითხვები:

(2) 21.1. რომელი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ ამ კონფლიქტში?

_____

(2) 21.2. დაასახელეთ სახელმწიფო, რომლის ჯარის მოქმედება რუკაზე აღნიშნულია მწვანე ისრებით; ვინ მეთაურობდა მათ?

_____

(2) 21.3. დაასახელეთ სახელმწიფო, რომლის ჯარის მოქმედება რუკაზე აღნიშნულია წითელი ისრებით; კონფლიქტის ბოლო ეტაპზე ვინ მეთაურობდა მათ?

_____

(1) 21.4. სად გაიმართა ამ ომის გადამწყვეტი ბრძოლა?

_____

(1) 21.5. რომელ ნახევარკუნძულზე გააფართოვა საზღვრები მოყვითალო ფერით აღნიშნულმა სახელმწიფომ?

_____

დავალებები № 22

ინსტრუქცია დავალებებისათვის

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას და პასუხები გაეცით მასში მოცემულ შეკითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, თქვენი მსჯელობა უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი – ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. დავალება ფასდება მაქსიმალური 6 ქულით.

1514 წელს ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის ომი დაიწყო, რომელიც 40 წელზე მეტხანს გაგრძელდა. ეს ომი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზეც, ძირითადად სომხეთისა და სამცხე-საათაბაგოში მიმდინარეობდა და ამ მხარეების მოსახლეობა ომისგან ძალიან ზარალდებოდა. საბოლოოდ, ომი 1555 წელს დასრულდა და ამასიაში ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო.

კითხვები:

(1) 22.1. დაასახელეთ ამ მოვლენის ერთი კონკრეტული მიზეზი.

_____

(1) 22.2. დაასახელეთ ამ ზავის ერთი კონკრეტული შედეგი;

_____

(1) 22.3.ახსენით, უშუალო მონაწილეების გარდა, ვისთვის შეიძლებოდა დადებითი შედეგი მოეტანა ამ ზავს. თქვენი მოსაზრება ერთი არგუმენტით მაინც დაასაბუთეთ;

_____

1) 22.4.ახსენით, უშუალო მონაწილეების გარდა, ვისთვის შეიძლებოდა უარყოფითი შედეგი მოეტანა ამ ზავს. თქვენი მოსაზრება ერთი არგუმენტით მაინც დაასაბუთეთ;

_____

(2) 22.5. დაასახელეთ ამ ტიპის ზავის ანალოგიური მოვლენა საქართველოს ისტორიიდან და დაიმოწმეთ ორი ფაქტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

_____

დავალებები № 25

ინსტრუქცია დავალებებისათვის

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალება ფასდება მაქსიმალური 17 ქულით.

ნაწყვეტი ხელშეკრულებიდან ქართლ–კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის

1. ქართლ-კახეთის მეფე აცხადებს, რომ იგი უარს ამბობს, დაემორჩილოს ირანს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს და არ ცნობს არავის უმაღლეს უფლებას, გარდა რუსეთის იმპერატორისა, შედის მის მფარველობაში და აღუთქვამს მას სამუდამო ერთგულებას.
2. რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ქართლ-კახეთის მეფეს სამუდამო მფარველობას, მისი სამფლობელოს მთლიანობას, როგორც არსებულის, ისე მომავალში შეძენილის გათვალისწინებით.
3. ქართლ-კახეთის ტახტზე ასული მეფეები სამეფო ნიშნებს მიიღებენ რუსეთის იმპერატორისგან და დადებენ ერთგულების ფიცს ტრაქტატზე თანდართული ტექსტის მიხედვით.
4. ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან დიპლომატიურ ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან წინასწარ შეუთანხმებს რუსეთს.
6. რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ქართლ-კახეთის ტახტზე მეფობის სამუდამო უფლებას ერეკლეს და მის შთამომავლობას; ქართლ-კახეთის მტრებს ჩათვლის საკუთარ მტრებად; ირანთან და თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების დროს გაითვალისწინებს ქართლ-კახეთის ინტერესებს, ხოლო ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში იგი არ ჩაერევა.
7. ქართლ-კახეთის მეფე მზადაა, ემსახუროს რუსეთს თავისი სამხედრო ძალებით, არ შეავიწროოს რუსეთის ქვეშევრდომები თავის სამეფოში, რომელიმე პირის თანამდებობაზე დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს ამ პირის დამსახურება რუსეთის წინაშე.
8. ქართული ეკლესიის მმართველობა რჩება უცვლელი, მისი პატრიარქის ღირსება უტოლდება რუსეთის საეკლესიო იერარქიის მე-8 ხარისხს. საქართველოს პატრიარქს ენიჭება რუსეთის წმინდა სინოდის წევრის ტიტული. საქართველოს ეკლესიისა და რუსეთის სინოდის ურთიერთობები განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნება მომავალში.
11. ქართლისა და კახეთის ვაჭრებს შეუძლიათ, თავისუფლად ივაჭრონ რუსეთში, ისარგებლებენ იმავე უფლებებით, რაც რუსეთის ბუნებრივ ქვეშევრდომებს აქვთ; ქართლ-კახეთის მეფე ვალდებულია, იმპერიის მინისტრთან ერთად განსაზღვროს მის ქვეყანაში რუსეთის ვაჭრობისთვის ხელის შემწყობი პირობები, ასევე ის პრივილეგიები, რომლებიც სხვა ქვეყნებისკენ მიმავალ რუს ვაჭრებს მის ქვეყანაზე გავლის შემთხვევაში ექნებათ.

12. ტრაქტატი იდება სამუდამოდ.

I საიდუმლო მუხლი. ერეკლემ და სოლომონ I-მა უნდა დაამყარონ მეგობრული ურთიერთობები. შეუთანხმებლობის შემთხვევაში შუამავალ მხარედ რუსეთი გამოდის.

II საიდუმლო მუხლი. ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთი საკუთარი ხარჯით აგზავნის 2 ბატალიონს 4 ზარბაზნით. ომის შემთხვევაში იგი შეივსება საჭირო რაოდენობის ძალებით.

III საიდუმლო მუხლი. თუ რუსეთის იმპერატორს დასჭირდება ქართლ-კახეთის სამხედრო ძალების დახმარება სამეფოს ფარგლებს გარეთ, ხარჯებს აანაზღაურებს რუსეთი.

IV საიდუმლო მუხლი. რუსეთის იმპერატორი პირობას დებს, რომ მტრების მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების განთავისუფლების შემთხვევაში მას ქართლ-კახეთის სამეფოს გადასცემს.

კითხვები:

(2) 25.1. რა სახელითაა ცნობილი ეს დოკუმენტი და რუსეთის რომელმა იმპერატორმა მოაწერა მას ხელი?

_____

(1) 25.2. თქვენი აზრით, რატომაა 1-ელ პუნქტში ნახსენები ირანი?

_____

(2) 25.3. დოკუმენტის მე-2 და მე-6 პუნქტებში, საგარეო ურთიერთობებთან მიმართებით, როგორ არის გათვალისწინებული ქართლ-კახეთის ინტერესები?

_____

(3) 25.4. მოიყვანეთ დოკუმენტის სამი მუხლი (საიდუმლო მუხლების გარდა), რომლებიც ზღუდავდა ქართლ-კახეთის მეფეების უფლებამოსილებას.

_____

(3) 25.5. დოკუმენტის მიხედვით, რაში გამოიხატებოდა ქართველ მეფეთა უფლებამოსილების შეზღუდვა?

_____

(2) 25.6. დოკუმენტის მიხედვით, როგორ და რატომ განისაზღვრა ქართული ეკლესიის სტატუსი?

_____

(2) 25.7. დოკუმენტის მიხედვით, რატომ იყო მნიშვნელოვანი ეს ხელშეკრულება ორივე ქვეყნის ეკონომიკისთვის?

_____

(2) 25.8. ქართლ-კახეთის გარდა, რუსეთის იმპერიის მიმართ რომელი სახელმწიფოს ვასალური დამოკიდებულება ჩანს ხელშეკრულებაში და როგორ?

_____

ტესტი № 2

დავალებები № 1–15

ინსტრუქცია დავალებებისათვის

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა შეუძლებელია. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

კითხვები:

1. რომელ პერიოდში იყო გავრცელებული თრიალეთის კულტურა?

ა. ენეოლითში;
ბ. ადრებრინჯაოს ხანაში;
გ. შუაბრინჯაოს ხანაში;
დ. გვიანბრინჯაოს ხანაში;

2. ეგვიპტის ისტორიასთან მიმართებით რომელი ინფორმაცია არ არის მართებული?
ეგვიპტე დაიპყრეს:

ა. ასურელებმა;
ბ. ხეთებმა;
გ. ჰიქსოსებმა;
დ. ირანელებმა.

3. კოლხას ისტორიიდან რომელი ინფორმაცია არის მართებული?

ა. კოლხაში ილაშქრა ურარტუს მეფე მენუამ;
ბ. კოლხაში ილაშქრა ურარტუს მეფე სარდური I-მა;
გ. კოლხაში ილაშქრა ურარტუს მეფე არგიშთიმ;
დ. კოლხაში ილაშქრა ურარტუს მეფე სარდური II-მ.

4. რომელ მეფეს უკავშირდება აქემენიანთა ირანში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმის ჩატარება?

ა. დარიოს III-ს;
ბ. ქსერქსე I-ს;
გ. დარიოს I-ს;
დ. ქსერქსე II-ს.

5. ფინიკიურ კოლონიზაციასთან მიმართებით რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. ფინიკიელებმა კოლონიზაციის დროს აითვისეს პირინეს ნახევარკუნძულის სანაპირო;
ბ. ფინიკიელებმა კოლონიზაციის დროს აითვისეს კუნძულ სიცილიის სანაპირო;
გ. ფინიკიელებმა კოლონიზაციის დროს აითვისეს ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო;
დ. ფინიკიელებმა კოლონიზაციის დროს აითვისეს ყირიმის ნახევარკუნძულის სანაპირო.

6. 298 წლის ნისიბინის ზავთან მიმართებით, რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. 298 წლის ნისიბინის ზავმა ხელი შეუწყო ქართლის სამეფოს ბიზანტიის დაქვემდებარებაში გადასვლას;
ბ. 298 წლის ნისიბინის ზავმა ხელი შეუწყო ქართლის სამეფოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებას;
გ. 298 წლის ნისიბინის ზავმა შეაჩერა სასანური ირანის ექსპანსია მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში;
დ. 298 წლის ნისიბინის ზავით სომხეთი რომის დაქვემდებარებაში გადავიდა.

7. რომელი მოვლენა არ უკავშირდება დავით IV აღმაშენებელს?

ა. ამირსპასალარის სავაზიროში შეყვანა;
ბ. ათაბაგის სავაზიროში შეყვანა;
გ. მეჭურჭლეთუხუცესის სავაზიროში შეყვანა;
დ. მანდატურთუხუცესის სავაზიროში შეყვანა.

8. თემურ-ლენგის დაპყრობებთან დაკავშირებით რომელი ფაქტია მართებული?

ა. XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა დაიპყრო მთელი ირანი;
ბ. XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა დაიპყრო მთელი საქართველო;
გ. XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა დაიპყრო მთელი ოსმალეთი;
დ. XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა დაიპყრო მთელი ბიზანტია.

9. დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან მიმართებით რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები განაპირობა სეფიანთა ირანის მიერ სპარსეთის ყურის გაკონტროლებამ;
ბ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები განაპირობა აღორძინების პროცესის განვითარებამ ევროპაში;
გ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები განაპირობა ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ;
დ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები განაპირობა ახლო აღმოსავლეთში რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების გაზრდამ.

10. მ. ვორონცოვის მოღვაწეობასთან მიმართებით რომელი ინფორმაცია არ არის მართებული?

ა. მ. ვორონცოვის მმართველობის დროს აღდგა ქართული თეატრი;

ბ. მ. ვორონცოვის მმართველობის დროს დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი;

გ. მ. ვორონცოვის მმართველობის დროს დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა;

დ. მ. ვორონცოვის მმართველობის დროს დაარსდა პირველი გაზეთი.

11. „თერგდალეულებთან“ მიმართებით რომელი ინფორმაცია არ არის მართებული?

ა. „თერგდალეულთა“ შორის მოიაზრებიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე;

ბ. „თერგდალეულთა“ შორის მოიაზრებიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნოე ჟორდანია;

გ. „თერგდალეულთა“ შორის მოიაზრებიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი;

დ. „თერგდალეულთა“ შორის მოიაზრებიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი.

12. რუსეთ-ოსმალეთის ომებთან მიმართებით, რომელი ინფორმაციაა მართებული?

ა. რუსეთის იმპერიას აჭარა შეუერთდა 1853-1856 წლების ყირიმის ომის შემდეგ;

ბ. რუსეთის იმპერიას აჭარა შეუერთდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ;

გ. რუსეთის იმპერიას აჭარა შეუერთდა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ;

დ. რუსეთის იმპერიას აჭარა შეუერთდა 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ.

13. გერმანიის გაერთიანებასთან მიმართებით რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

ა. პრუსიის მიერ გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება იყო;

ბ. პრუსიის მიერ გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი მიზეზი ძლიერი ჯარის შექმნა იყო;

გ. პრუსიის მიერ გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი მიზეზი წარმატებული დიპლომატიური ომი იყო;

დ. პრუსიის მიერ გერმანიის გაერთიანების ერთ-ერთი მიზეზი დამარცხებული ავსტრიისგან ჩეხეთის ტერიტორიის მიერთება იყო.

14. „ცივ ომთან“ მიმართებით რომელი ინფორმაცია არ არის მართებული?

ა. „ცივი ომის“ კონფლიქტი იყო საბჭოთა კავშირის შეჭრა ავღანეთში;

ბ. „ცივი ომის“ კონფლიქტი იყო აშშ-ერაყის დაპირისპირება;

გ. „ცივი ომის“ კონფლიქტი იყო ვიეტნამის ომი;

დ. „ცივი ომის“ კონფლიქტი იყო კარიბის კრიზისი.

15. რომელ მოვლენას უკავშირდება 1978 წლის 14 აპრილის გამოსვლა?

ა. საბჭოთა კავშირში ანტისტალინური პოლიტიკის დაწყებას;

ბ. „პერესტროიკის“ პოლიტიკას;

გ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში სახელმწიფო ენის სტატუსს;

დ. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტში სახელმწიფო ენის სტატუსს.